**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი №39**

**ქ. თბილისი** **12.09.2018**

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
**ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
**სოფიკო ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სხდომის მდივანი;
**ლევან გორდეზიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
**დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;
**თეო ურუშაძე** - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
**გელა გელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
**გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
**პაატა ბრეკაშვილი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
**გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
**ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
**ნათელა სახოკია** - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

**მაია გელაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
**ლაშა მაჭარაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კორდინატორი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**
**ირმა გრძელიძე** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**გიორგი ღაღანიძე** - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
**იოსებ ხელაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
**ეთერ ხარაიშვილი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ნანა კაციტაძე** - ასოცირებული პროფესორი;
**ია ნაცვლიშვილი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინო ტალიკაძე** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ანა გვრიტიშვილი** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**
**ირმა შიოშვილი** - უნივერსიტეტის რექტორი;
**შალვა ჭკადუა** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ნინო მოდებაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი;
**ია ჯიმშიტაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
**ნანა რინკიაშვილი** - სოციალური მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
**ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე** - პროგრამის თანახელმძღვანელი;
**რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი;
**ნინო კახაშვილი** - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

**შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი:**
**მანანა ცერცვაძე** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ნინო ჭიჭივეიშვილი** - ფაკულტეტის დეკანი;
**ზაზა ბეროშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
**თამარ სოზიაშვილი** - სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:**
ნიკოლოზ ქოიავა;
გოჩა თუთბერიძე;
ნიკა კიკნაძე;
ია ფანცულაია;
ნიკოლოზ გვაზავა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სოფიკო ლობჟანიძეს. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის წარმომადგენელთა თხოვნით, დააყენა შუამდგომლობა, თუ იყო შესაძლებელი, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 საკითხები განხილული ყოფილიყო მე-2 და მე-3 საკითხებად. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული შუამდგომლობა შესაძლებელი იყო, რომ დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმაც.

**შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის ახალი წესრიგი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა |
| **კვალიფიკაციის დონე** | მე-7 დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი 020301 |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კრედიტების რაოდენობა** | 120 |

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა და საბჭოს წევრებმა - გელა გელაშვილმა და ლევან გორდეზიანმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელიზბარ ელიზბარაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომას არ ესწრებოდნენ ექსპერტები. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მისი ინფორმაციით ექსპერტი ნიკოლოზ ქოიავა იყო გზაში და სხდომას შემოუერთდებოდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოს წევრები იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, მისი აზრით, უმჯობესი იყო თუკი საბჭო მოისმენდა თავდაპირველად დაწესებულების პოზიციას ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც. რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბებას.
- პროგრამის სასწავლო შედეგების რაოდენობის შემცირებას და მკაფიოდ ჩამოყალიბებას.
- პროგრამის სასწავლო შედეგებისა და სასწავლო კურსების შედეგების კავშირის კორექტირებას.
- ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ქცევას.
- დაშვების წინაპირობად მენეჯმენტის საფუძვლებში პრეტესტის დამატებას ან საერთო B ტიპის გამოცდის მითითებას.

- აკადემიური წერის სასწავლო კურსის დამატებას.
- სასწავლო კურსის: კვლევითი ნაშრომის წინაპირობის გადახედვას.
- სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების წესის გადახედვის საჭიროებას.
- პროგრამის სწავლების მეთოდების გადახედვასა და გამდიდრებას მეტი პრაქტიკული აქტივობებით, გასვლითი ღონისძიებებითა და ექსპედიციებით.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას B2 დონეზე.
- წიგნად ფონდში არსებული ლიტერატურის რაოდენობრივ ზრდის საჭიროებას.
- ანტიპლაგიატის პროგრამის შეძენის საჭიროებას.
- ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესების საჭიროებას.
- პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრასა და მასში კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ექსპედიციების, პრაქტიკისა და გაცვლითი პროგრამის ნაწილის გაწერა.
- კომუნიკაციის გაღრმავების საჭიროებას სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
- გარე შეფასების შედეგების გათვალისწინების საჭიროებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზად იყო გაეთვალისწინებინა რეკომენდაციების ნაწილი, თუმცა, დასკვნაში მოცემული იყო ზოგიერთი საკითხი, რომელიც განსხვავდებოდა რეალური მდგომარეობისაგან. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ არ ელოდა ასეთ შეფასებას. მისი თქმით, ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში გამოთქმული შეფასებები არ ემთხვეოდა იმ შეფასებებს, რაც დასკვნაში იყო ასახული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ იზიარებდა მაგალითად რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა პერსონალის ინგლისური ენის გაუმჯობესებას. ასევე სადაოდ მიიჩნდა ენის ბარიერის B2 დონის განსაზღვრის შესახებ რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ამას შეიძლებოდა რჩევის სახე ჰქონოდა და არა რეკომენდაციის.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზანს, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამის მიზანში ნათლად იყო გამოხატული ყველა საჭირო საკითხი და მიზანი მეტ კონკრეტიკას არ საჭიროებდა.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა პროგრამის შედეგების შემცირებასა და მათ მკაფიოდ ჩამოყალიბებას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი ვერც ამ რეკომენდაციას მიიღებდა, რადგან დასკვნაში იყო ნახსენები, რომ ბუნდოვანი იყო ის, თუ როგორ იზომებოდა ორიგინალურობა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით კი, ორიგინალობის საკითხი ნათლად იყო ასახული პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგებში, ხოლო მათი შეფასება ასევე ცხადად ხდებოდა ქულების საშუალებით. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ახსენა სასწავლო შედეგი, რომელიც ეხებოდა ერთ-ერთ საგანში კადრების სწორ შერჩევასა და იმიჯის მართვას, რომელიც ასევე იყო ნახსენები დასკვნაში. მან წაიკითხა ამონარიდები სხვადასხვა კურსების სილაბუსებიდან, იმის საჩვენებლად, რომ სასწავლო შედეგებში მითითებული იყო ეს კომპეტენციები. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა შენიშვნას, ტურიზმის მარკეტინგთან დაკავშირებული ზოგიერთი კომპეტენციის მხოლოდ ცალკეულ კურსში განვითარების შესახებ, მისი თქმით, ეს კომპეტენციები ვრცელდება სხვადასხვა საგნებზე და მათი განვითარება ხდება კრებსითად სხვადასხვა საგნებში პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ აკრედიტაციის 1.1 და 1.2 სტანდარტების შეფასება იყო წინააღმდეგობრივი. კერძოდ, დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ამ ნაწილში ექსპერტების პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ინგლისური ენის ბარიერის B2 დონეზე აწევას. უნივერსიტეტის წარმომადგენლის აზრით, ასეთი რამ აქამდე ალოგიკური იქნებოდა და არათანმიმდევრული, რადგან მსგავსი პრეცენდენტი უკვე არსებობდა უნივერსიტეტში და ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ კონკრეტულად რა წარუმატებლობას ეხებოდა საქმე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე უკვე მომატებული იყო მათემატიკაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, ენობრივი ზღვარის დაწესება პროგრამას არ მოუტანდა დადებით შედეგს.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რატომ იყო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე მოთხოვნილი მათემატიკაში მაღალი ზღვარი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ პროგრამაზე ტარდებოდა სამაგისტრო გამოცდების ბე ტიპის ტესტი, შესაბამისად, პირი რომელიც აბარებდა ამ პროგრამაზე, მას უფრო მაღალ დონეზე უნდა სცოდნოდა მათემატიკა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტუდენტებს უნივერსიტეტში ჰქონდათ ინგლისური ენის განვითარების საშუალება და მხოლოდ სწავლების მე-3 სემესტრიდან იყო გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებისთვის ასევე არსებობდა ქართულენოვანი რიდერებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა რეკომენდაცია მენეჯმენტის საფუძვლების პრეტესტის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ძალიან დაამძიმებდა პროგრამაზე მისაღებ პირობებს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო რიგი საკითხები, რომლებიც შეტანილია უკვე არსებულ სპეციალობის გამოცდაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა იმსჯელა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო პროგრამაში საბაკალავრო საფეხურის საგნების არსებობას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას, ვინაიდან აღნიშნა, რომ ყველა საგანი, რომელიც პროგრამაზე იკითხებოდა იყო სამაგისტრო საფეხურის დონის. ამას მოწმობდა, როგორც სასწავლო კურსების მიზნები, ისე სწავლის შედეგები და მათი შინაარსი.

აკადემიური წერის კურსის საჭიროების შესახებ უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე ტურიზმის სპეციალისტს არ სჭირდებოდა აკადემიური წერის გავლა. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას კვლევითი ნაშრომის წინაპირობის შესახებ, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა კვლევით პროექტისათვის წინაპირობად კვლევის მეთოდების არსებობას, თუმცა, აღნიშნა, რომ თუ სტუდენტს კვლევის მეთოდების გავლისას უკვე ექნებოდა თეორიული ცოდნა ჩამოყალიბებული, მაშინ სტუდენტი უფრო წარმატებით მოახდენდა მათ შერწყმასა და გამოყენებას.

რეკომენდაციის შესახებ კრედიტების მინიჭების წესზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსებისთვის არსებული კრედიტების რაოდენობის შეცვლა იყო ძალიან შრომატევადი საქმე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ხორციელდებოდა პროექტი, რომლის საშუალებითაც მომავალში

მოხდებოდა კრედიტების დივერსიფიცირება, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ უკვე მთელ რიგ საგნებზე კრედიტების რაოდენობა იყო შეცვლილი.

რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სასწავლო მეთოდებსა და ასევე საველე აქტივობებს, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა ჯგუფურ პროექტებს მთელ რიგ უცხოურ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან ერთად. ასევე, მან აღნიშნა პროგრამის სტუდენტების სხვადასხვა სახის წარმატებები.

რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პროგრამის პერსონალის ინგლისური ენის დონის ამაღლებას, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ მოთხოვდა პერსონალს ამას, რადგან პერსონალი კონკურსის წესით იყო აყვანილი და იმ დროს არ იყო მოთხოვნილი ინგლისური ენის სერტიფიკატი. ასევე, მან მიუთითა, რომ მთელ რიგ პროფესორებს სხვა უცხო ენებში ჰქონდათ შესაბამისი კომპეტენცია.

წიგნების სიმწირის შესახებ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხავი წიგნები ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკაში და ასევე დიდი რაოდენობით იყო მოცემული ციფრული ლიტერატურაც. ანტიპლაგიატის პროგრამის შეძენის შესახებ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ერთ პროგრამის პრობლემა, თანაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა ეს პროგრამა და მალე აამუშავებდა.

რაც შეეხება რეკომენდაციას კავშირების გაღრმავების თაობაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პროგრამამ გააფორმა მემორანდუმები უამრავ კომპანიასთან და ასევე სამომავლოდაც იგეგმებოდა არაერთი თანამშრომლობა. რაც შეეხება გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინებას, უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაეთანხმა ამ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულება მეტს იმუშავებდა.

სხდომას შემოუერთდა ექსპერტი, ნიკოლოზ ქოიავა, რომელსაც სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა, ხომ არ სურდა დამატებით ესაუბრა პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ყველა დაინტერესებულ მხარეს. მისი თქმით, დამსაქმებლებმა არ დაადასტურეს პროგრამაში ჩართულობის საკმარისი დონე და აქედან გამომდინარეობდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავდა რეკომენდაცია. პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას რაც შეეხება, ექსპერტის თქმით ბიუჯეტში იგულისხმებოდა მიზნობრიობა და მოცულობა, რომელიც უნდა იყოს ცხადი, როგორც უნივერსიტეტის მესვეურთათვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა კი ეს ვერ დაინახა.

ინფრასტრუქტურის ნაწილს რაც შეეხება, ექსპერტის თქმით ჯგუფში იყო ამ საკითხზე კამათი და ამაზე ჯგუფის წევრების შეხედულებები განსხვავდებოდა, რადგან ექსპერტთა ნაწილი ინფრასტრუქტურას უყურებდა შედარებითობის პრინციპით და ამ ფაქტორს არ მიიჩნევდა მნიშვნელოვნად.

რაც შეეხებოდა წიგნებს, ექსპერტის თქმის ეს რეკომენდაცია იქიდან გამომდინარეობდა შემუშავდა, რომ ერთ-ერთი რიდერი არ აღმოჩნდა ადგილზე. რაც შეეხება ენის ბარიერს, ექსპერტის თქმით სილაბუსებში მითითებული იყო ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ამას უკავშირდებოდა რეკომენდაციაც, რადგან პერსონალთან მიმართებით ვერ დაინახეს ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნა.

რაც შეეხებოდა სწავლების მეთოდების გადახედვას, ექსპერტის თქმით ამ ნაწილში აღნიშნული ერთ-ერთი მეთოდი არც ერთ სილაბუსში იყო გამოყენებული. ხოლო, კრედიტების რაოდენობის შესახებ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ შეიძლებოდა ყველა საგანს ჰქონოდა იდენტური რაოდენობის კრედიტები. რაც შეეხება რეკომენდაციას აკადემიურ წერის შესახებ, ეს რეკომენდაცია იმ სამაგისტრო ნაშრომებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც ექსპერტები გაეცნენ. სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რა სახის დარღვევები იყო სამაგისტრო ნაშრომებში. ექსპერტმა უპასუხა, რომ სახეზე იყო წერის სტრუქტურირების პრობლემები.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ, კვლევის მეთოდების სწავლის მიდგომა ხშირად გემოვნების საკითხი იყო და ეს დიდწილად დამოკიდებული იყო სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის ურთიერთობაზე. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ეს არ არის რეკომენდაციის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ როცა პირს მაგისტრის ხარისხი აქვს და არ აქვს ცოდნა თვისებრივი კვლევის შესახებ, ეს არ იყო ამ აკადემიური ხარისხის შესაბამისი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ დროისათვის როცა სტუდენტები დაიცავენ სამაგისტრო ნაშრომს, მათ უკვე ექნებათ ყველა საჭირო კომპეტენცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ მისი აზრით პროგრამას მეტი გადახრა სჭირდებოდა ბიზნესის კუთხით. მისი თქმით, ტურიზმის მენეჯმენტი და სასტუმროს ინდუსტრია იყო სხვადასხვა საკითხები. მისი თქმით ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალისტის კომპეტენცია ფინანსურ მენეჯმენტში, მხოლოდ სასტუმროთი არ უნდა შემოიფარგლოს. ასევე მან აღნიშნა, რომ საგანი ფინანსების მენეჯმენტი ფინანსების მიმართულებით არ იყო სათანადოდ წარმოდგენილი, რადგან ზედმეტი აქცენტი იყო გაკეთებული სასტუმროს საქმეებზე. რაც შეეხება ინვესტირებას სასტუმრო ინდუსტრიაში, მან აღნიშნა, რომ კვლავაც სხვა საკითხები იყო უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე უბრალოდ სასტუმროები. ასევე მისი თქმით, საკურორტო ტურიზმის საგანი ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასტუმრო ინდუსტრიის ფინანსური მენეჯმენტი განსხვავდებოდა ზოგადი ფინანსური მენეჯმენტისგან. ასევე, მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ეს მხარე დადებითად შეაფასეს. მისი თქმით, უნივერსიტეტის ვალია, რომ მოამზადოს მაღალი დონის მენეჯერები. მისი აზრით, ეს საგანი იძლეოდა საკმარის კომპეტენციას. ასევე, მან აღნიშნა, რომ ინვესტირების საგანში შემოთავაზებული იყო სპეციფიური ხედვა. რაც შეეხება საკურორტო ტურიზმს, მისი თქმით აქ ბიზნესის ორგანიზებაზე იყო გადატანილი ფოკუსი.

16:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
17:00 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, ნაცვლად ნაწილობრივ შესაბამისობისა. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას 6 თვის განმავლობაში უნდა წარმოედგინა ანგარიში რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭომ დაწესებულებას განუმარტა, რომ ანგარიშის წარმოდგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო შემდეგ საკითხებს: პროგრამაში ფინანსების სწავლების გაძლიერებაზე, სტუდენტებისთვის დარგისთვის საჭირო ფართო ცოდნის მიცემაზე, პროგრამისთვის ბიუჯეტის გაწერაზე და სწავლის შედეგების დაკონკრეტებაზე.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა.

საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ვინაიდან შემდეგი ორი საკითხი, შინაარსობრივად ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, და ორივე პროგრამა შეფასებული იყო ერთიდაიგივე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ხომ არ ჯობდა ორივე საკითხზე გამართულიყო ზეპირი მოსმენა და შემდგომ გამოეცხადებინა საბჭოს გადაწყვეტილება თითოეულ მათგანზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმა.

**2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის და დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების განხილვა**

**პროგრამების მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა |
| **კვალიფიკაციის დონე** | მე-7 დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | დიპლომირებული მედიკოსი 090101 |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კრედიტების რაოდენობა** | 360 |

**შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.**

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა |
| **კვალიფიკაციის დონე** | მე-7 დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | დიპლომირებული მედიკოსი 090101 |
| **სწავლების ენა** | ინგლისური |
| **კრედიტების რაოდენობა** | 360 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო ორი საკითხის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგენდა საერთაშორისო ექსპერტი ოლვინ ვესტვუდი, რომელიც სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის მეშვეობით და ისაუბრებდა ორივე პროგრამასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ექსპერტმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მასპინძლობისათვის და მისი თქმით, გეომედის სამედიცინო სკოლა ძირითადად თანხვედრაში იყო სტანდარტებთან. მან დადებითად შეაფასა პროგრამის სწავლების

მეთოდები. მან შენიშნა, რომ ორივე პროგრამაში ნაწილობრივ შესაბამისად შეფასდა აკრედიტაციის მე-5 სტანდარტი, რომელიც ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

საერთაშორისო ექსპერტის ჩართვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ადგილობრივ ექსპერტებს ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამების შესახებ. ადგილობრივმა ექსპერტმა, ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ დასკვნის ძირითადი ნაწილები შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. რაც შეეხება ნაწილობრივ შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში, ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტმა უკვე შეიმუშავა ახალი მექანიზმები ამ მიმართულებით, თუმცა შეფასების დროისათვის ისინი ჯერ არ მუშაობდნენ და შესაბამისად, ჯგუფს შედეგები არ უნახავს. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამებისათვის ბიოლოგიის ცოდნის წინაპირობის წამოყენებას იყო მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა წინაპირობის შესახებ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ისწავლებოდა ქიმია და ბიოლოგია. მისი თქმით, შესაძლებელი იყო ბარიერის აწევა და ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა დაწესებულებას შეეცვალა რაიმე. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე. ასევე, მან აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართულები არიან საერთაშორისო პარტნიორები, ასევე პროგრამას ჰყავდა მოქმედი სტუდენტები და უნივერსიტეტი ეცადა, რომ პროგრამაში ცვლილების შეტანისას არ დაზარალებულიყვნენ სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით უნივერსიტეტში შეფასების ბევრი მექანიზმი არსებობდა და ნაწილობრივად შეფასება მათთვის იყო გასაკვირი.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ იკითხა, თუ რომელი სტანდარტით იყო პროგრამა შედგენილი, უკვე მოქმედით, თუ იმით, რომელიც მომავალი წლიდან შევიდოდა ძალაში. მისი თქმით, პროგრამის მოქმედი სტანდარტებით შედგენის შემთხვევაში, საბჭოს არ ჰქონდა ნათელი სურათი პროგრამების ინტეგრაციაზე. წარმოდგენილი ორივე პროგრამაში აქცენტი კეთდებოდა თეორიულ საგნებზე, რაც ჰარდენის კიბის მიხედვით არ ნიშნავდა თეორიული და პრაქტიკული საგნების ინტეგრაცია. ასევე მან დასვა კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება განგრძობადი ფორმატით წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ბევრი იმსჯელეს სრულ და ნაწილობრივ ინტეგრაციაზე და წამოიჭრა სირთულე, ძველსა და ახალ პროგრამას შორის კავშირის დაჭერისას. მათ გაიარეს ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები უცხოელ კოლეგებთან და გადაწყვიტეს, რომ თემატური ინტეგრირება მომხდარიყო. ეს გადაწყვეტილება, მისი თქმით, პირველ რიგში უკვე მოქმედი სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით იქნა მიღებული.

საბჭოს წევრის, გაიანე სიმონიას შენიშვნით, ინტეგრაცია იყო 11 საფეხურიანი. სრული ინტეგრაცია იყო ბოლო საფეხური და ევროპაშიც ბევრი უნივერსიტეტი ვერ აღწევდა ამ დონეს. მისი თქმით, ინტეგრაცია მეექვსე საფეხურიდან იწყებოდა, როდესაც სილაბუსებში ჩანს, რომ კონკრეტული საგანი ინტეგრირებულად მუშაობს და არ არის ფრაგმენტული ცოდნა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს საერთოდ არ ჰქონდა ინტეგრაციის დონე.

დაწესებულების წარმომადგენლის მიხედვით, უნივერსიტეტში სტუდენტები პირველივე სემესტრიდან გადიოდნენ კლინიკურ პრაქტიკას, რათა ადრეულად შეეძინათ საჭირო

უნარები, რაც ძველ პროგრამაში მეექვსე სემესტრში იყო გათვლილი. მისი თქმით, პროგრამა მორგებული იყო თავად ინსტიტუციაზე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ რამდენად რელევანტური იყო მედიცინის პროგრამების მიმდინარე თვეებში შემოსვლა. საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ შენიშნა, რომ ზოგიერთ სამედიცინო სკოლას უკვე ჰქონდა შექმნილი ინტეგრაციის წინასწარი ფორმა და გეგმა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ძირითადი ამოსავალი წერტილი იყო ძირითად კომპეტენციებზე გასვლა და მათ უკვე ჰქონდათ კიდეც შექმნილი სქემის შეფასების სისტემა. საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ იკითხა რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ოსკის შეეხებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ოსკის გამოცდა დაწესებულებაში ჯერ არ ჩატარებულა. საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ იკითხა, თუ ასეთ შემთხვევაში როგორ მოწმდებოდა კლინიკური უნარები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ოსკის გამოყენება გაწერილი იყო სილაბუსებში და გამოყენებული იქნებოდა შესაბამის სემესტრში.

საბჭოს წევრის, გაიანე სიმონიას თქმით, მანდ შეამოწმა გინეკოლოგიის სილაბუსი, სადაც დასკვნით გამოცდაში ეწერა ოსკი, თეორიული ცოდნა კი ფასდებოდა შუალედური შეფასებებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ოსკის გამოცდის ჩასატარებლად სასწავლო უნივერსიტეტს გამოწერილი ჰქონდა სპეციალური მულაჟები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ იკითხა, თუ ბიოფიზიკის სახელმძღვანელოში რატომ იყო საკითხავი თ. სანიკიძის სახელმძღვანელო ინგლისურენოვან სექტორზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტში პროფესორები დამოუკიდებლები იყვნენ, რომ შეერჩიათ ლიტერატურა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსხვავება ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებს შორის ძირითადად იყო ის, რომ ინგლისურენოვანი სექტორის სტუდენტები სწავლობდნენ ქართულ ენასაც.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა იციან თუ არა ექიმებმა ყოველთვის ინგლისური ენა, როდესაც ინგლისურენოვანი სექტორის სტუდენტები მიდიან პრაქტიკაზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი სპეციალურად არჩევდნენ მსგავს ექიმებს.

საბჭოს სხდომაზე 17:58 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:28 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ ორივე პროგრამასთან დაკავშირებით გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოს ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები ორივე საგანმანათლებლო პროგრამის ახალ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მოყვანასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ ორივე პროგრამას უნდა მინიჭებოდა პირობითი აკრედიტაცია. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილებები ძალაში მიზანშეწონილი იყო შესულიყო 2018 წლის 30 აგვისტოდან, ვინაიდან პროგრამებს სწორედ 30 აგვისტოს ამოეწურათ აკრედიტაციის ვადა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინტერესებისა და პროგრამების სტატუსის უწყვეტობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-$3^2$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში უნდა შევიდეს 2018 წლის 30 აგვისტოდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-$3^2$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში უნდა შევიდეს 2018 წლის 30 აგვისტოდან.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა |
| **კვალიფიკაციის დონე** | მე-6 დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02 |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კრედიტების რაოდენობა** | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, გოჩა თუთბერიძის თქმით დაწესებულება თანამშრომლობდა ექსპერტთა ჯგუფთან. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ბევრი რამ იყო გაკეთებული და ვითარდებოდა. მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებული იყო, თანაც რეგიონში. გარდა ამისა, მისი თქმით, დაწესებულება ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც მუშაობდა და საერთო შთაბეჭდილება იყო კარგი.

ექსპერტმა ჩამოთვალა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა:

- დაწესებულების მიერ დასაქმების ბაზრის კვლევის გაფართოვებასა და ფაქტობრივი დამსაქმებლების კვლევიდან დასაქმების პერსპექტიული ბაზრის კვლევაზე გადასვლას;
- სავალდებულო სასწავლო კურსის, „ფინანსების თეორიის“ ჩანაცვლებას მაგ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებით და მის მიწოდებას სტუდენტებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების სწავლების შემდგომ;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „სტატისტიკა ბიზნესისათვის“ შინაარსის ცვლილებასა და მის დაყრდნობას შესაბამის ლიტერატურაზე;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „ფინანსური მენეჯმენტის“ შინაარსის უფრო შესაბამის სახელმძღვანელოზე დაყრდნობას.
- სავალდებულო სასწავლო კურსის „რისკ-მენეჯმენტის“ შინაარსისა და ლიტერატურის გადამუშავებას;
- უფრო მეტი მარკეტინგული საგნების შეთავაზებას;
- პროგრამის სავალდებულო კომპონენტისათვის სასწავლო კურსის, „მმართველობითი აღრიცხვის“ დამატება;

- დაწესებულების მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგების დეტალურად გაწერას, რომელიც იქნება გაზომვადი და მიღწევადი სტუდენტების მხრიდან;
- სასწავლო კურსის „მიკროეკონომიკის პრინციპების“ სწავლების პირველ სემესტრში განხორციელებას;
- „მაკროეკონომიკის პრინციპების“ სასწავლო კურსის გადმოწევას მეორე სემესტრში;
- სასწავლო კურსის „ფინანსების თეორიის“ ბუღალტერიის საფუძვლებისა და გარკვეული შესავალი კურსების გავლის შემდეგ შეთავაზება;
- მენეჯმენტი 1-ის სწავლებას მას მერე, რაც სტუდენტებს გავლილი ექნებათ მიკროეკონომიკის პრინციპები და ბიზნესის საფუძვლები;
- აკადემიურმა პერსონალის მხრიდან კვლევითი კომპონენტისადმი მეტი ყურადღების დათმობას;
- დაწესებულების მხრიდან სასწავლო კურსის სილაბუსებში ახალი და დარგის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურის გამოყენებას;
- მენეჯმენტი 1 და მენეჯმენტი 2-ის ნაცვლად ერთი კურსის, „მენეჯმენტის საფუძვლების“ შეთავაზებას, კურსების: „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ და „ფინანსური თეორია“ ამოღებასა და ამ უკანასკნელების ჩანაცვლებას „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებით“;
- პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად დაწესებულების მხრიდან დამსაქმებლების ჩართვას;
- ბაზრის შესწავლისას არა მარტო უკვე არსებული მომხმარებლის (აბიტურიენტის) მოცვას, არამედ პროგრამის ცნობადობისა და ინფორმირებულობის ანალიზის საჭიროებას;
- საჭიროებას, რომ შეფასების მეთოდები გამომდინარეობდნენ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პროგრამის მონიტორინგის უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო გარკვეული საკითხები, რაც ექსპერტებმა ვერ დაინახეს სრულად. მისი თქმით, უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობდნენ მთელ რიგ საკითხებზე. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ეთანხმებოდნენ ამ ნაწილს, თუმცა ასეთი კვლევა რესურსებთან და გამოცდილებასთან იყო დაკავშირებული. მისი თქმით, მათი სამიზნე ძირითადად კახეთის რეგიონი იყო და ფიქრობდნენ, რომ ამ ნაწილში გაუჭირდებოდათ თბილისის უნივერსიტეტებისათვის კონკურენციის გაწევა. ამიტომაც, მომავალში ალბათ ისევ კახეთზე იქნებოდნენ ფოკუსირებულები. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მთავარი მონაპოვარი იყო დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აგრძელებდა შემდეგ საფეხურზე სწავლას და ის, რომ 50% დასაქმებულია და იკითხა ეს შედეგი პოზიტიურად უნდა შეფასდეს თუ ნეგატიურად. ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს პოზიტიურად უნდა შეფასებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, ბევრი სტუდენტი იწყებდა სწრაფად მუშაობას და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა დამსაქმებლებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დადებით მხარე იყო ის, რომ ბევრი კურსდამთავრებული იყო უკვე დამსაქმებელი და ისინი ეხმარებოდნენ ხოლმე უნივერსიტეტსაც.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ რა სახის ბიზნესებზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წარმატებულ კურსდამთავრებულებს ძირითადად ჰქონდათ ტურიზმის, ღვინის, რძის და სხვა სახის ძირითადად მცირე ბიზნესი. მისი თქმით, მნიშნველოვანია, რომ მათ ნაწილი პროგრამის დამთავრების შემდეგ ჩაერთო ამ საქმიანობაში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ფინანსების თეორია - ამ საგანში მოცემული წიგნი აძლევდა ფართო ცოდნას სხვადასხვა საფინანსო საკითხების შესახებ და გამოუმუშავებდა საჭირო უნარ-ჩვევებს, ამავე მიმართულებით. მისი თქმით, ძირითადი ცნებები და კატეგორიები განხილულია პირველივე კვირიდან. წარმომადგენლის მტკიცებით, ეს იყო საწყისი კურსი და იგი ბაზად იყო გათვალისწინებული და ამის შემდეგ უფრო რთულ საგნებს შეისწავლიდნენ სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნეს სტატისტიკაში, მაკროეკონომიკა მხოლოდ მეშვიდე კვირაში იყო განხილული. მისი თქმით, კისის სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებებისთვის იყო განკუთვნილი, სხვა სახელმძღვანელოებს კი იყენებდნენ დამატებით ლიტერატურად. ასევე, მისი თქმით რისკების მენეჯმენტი არჩევითი კურსია და სილაბუსში დეტალურად იყო განხილული რისკების საკითხები მრავალმხრივ. რისკები უშუალოდ მესამე კვირიდან განიხილებოდა. მისი მტკიცებით, საგანზე მუშაობისას ავტორებმა ის შეადარეს უცხოენოვან სახელმძღვანელოებსაც და აღნიშნული სქემით იყო წარმოდგენილი ბევრ სახელმძღვანელოში საკითხები. მისი თქმით, რისკების მენეჯმენტზე დიდი კონცენტრირება უკავშირდებოდა იმას, რომ, ეს პროგრამა იყო უშუალოდ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ იგი ექსპერტს არ ეთანხმებოდა იმაში, რომ ბიზნესში რისკები ფინანსებზე მნიშვნელოვანია, დაწესებულებას კი იმაში არ ეთანხმებოდა, რომ ბიზნესის ადმინისტრირებაში არ უნდა იყოს რისკები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რისკები აუცილებლად უნდა იყოს პროგრამაში. რაც შეეხება მარკეტინგს, მისი თქმით აქ მოცემული საგნები უფრო მაგისტრატურის საგნები იყო. მისი თქმით, ეს საკითხი ერთ-ერთ ექსპერტსაც ასე ჰქონდა გამოყოფილი თავის პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლებს ხშირად არ აქვთ დრო, რომ ჩაერთონ დიდი დოზით, ასევე ის პრობლემაც იქმნება ხოლმე, რომ მათ ხშირად არ აქვთ დოქტორის ხარისხი. მისი თქმით, დაწესებულების მიზანია, რომ დამსაქმებელი იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული და როცა უნივერსიტეტს ექნება ამის შანსი, ისინი აუცილებლად გააკეთებდნენ ამას. მან აღნიშნა, რომ სხვა პროგრამაში არსებობს ასეთი გამოცდილება უკვე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სავსებით შესაძლებელია, რომ რაიმე კურსი წაიყვანოს კომპანიის დირექტორმა. საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ შესაძლებელია მარკეტინგსა და ფინანსებში აუცილებლად დოქტორებზე არ ჰქონოდა უნივერსიტეტს ფოკუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა ლიტერატურის განახლებაზე. მან ასევე შენიშნა, რომ მიკრო-მაკრო ეკონომიკის საკითხზე გარკვეულწილად ეთანხმებოდნენ ექსპერტს.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულების წარმატებასთან დაკავშირებით, უმჯობესი იყო კურიკულუმი იყოფილიყო მეტად პრაქტიკაზე დაახლოებული. ასევე, მან იკითხა საგანი დროის მენეჯმენტი, რატომ იყო მოცემული სამ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკული სასწავლო გამოცდილებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ ეს საგანი. სამ ენოვნების ჩანაფიქრი კი ის იყო, რომ ზოგიერთ სტუდენტს სურდა ენის გასაუმჯობესებლად ასეთი კურსი გაევლო, ამასთან ერთად კი, ერასმუსის სტუდენტებს შეიძლება შესთავაზოს უნივერსიტეტმა ეს საგანი.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ბიზნესის საფუძვლების სილაბუსი უფრო მრავალფეროვანი უნდა გამხდარიყო და რომ პრაქტიკული კუთხით მრავალფეროვნება სჭირდებოდა კურიკულუმსაც.

საბჭოს სხდომაზე 19:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:10 ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები. ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების მიერ გამოთქმული შეფასებების შედეგად, ვერ მოხდა მყარი არგუმენტების მოსმენა, თუ რატომ შეიძლებოდა პირველი და მეორე სტანდარტების უფრო მაღალ დონეზე შეფასება. შესაბამისად, ვინაიდან აკრედიტაციის ექსპერტების მიერ პირველი და მეორე სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, საბჭოს, აკრედიტაციის დებულების თანახმად კენჭისყრაზე უნდა დაეყენებინა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. საბჭომ მიიჩნია, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება, პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისთვის იყო მნიშვნელოვანი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-$3^2$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

**4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა |
| **კვალიფიკაციის დონე** | მე-7 დონე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02 |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კრედიტების რაოდენობა** | 120 |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

- დაწესებულების მიერ დასაქმების ბაზრის კვლევის გაფართოვებასა და ფაქტობრივი დამსაქმებლების კვლევიდან დასაქმების პერსპექტიული ბაზრის კვლევაზე გადასვლას;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „თანამედროვე მენეჯმენტი" სილაბუსის ისე გადამუშავებას, რომ ის შესაბამისობაში იყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „სტატისტიკა ბიზნესისათვის" არჩევით სასწავლო კურსებში გადასვლასა და მისი შინაარსისა და ლიტერატურის მიერ ბიზნესის სტატისტიკის სწავლების უზრუნველყოფას;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვის" ისე რომ არ მოხდეს დუბლირება ბაკალავრიატის საფეხურთან;
- „ადამიანური რესურსების მართვის" კურის ცვლილებას მეორე საფეხურის შესაბამისი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის" სასწავლო კურსით;
- სასწავლო კურსებისათვის „მენეჯერული ეკონომიკა" და „ბიზნესის სტატისტიკა" სტატუსის ცვლილების საჭიროებას, კერძოდ, მენეჯერული ეკონომიკის გადასვლას სავალდებულო, ხოლო ბიზნესის სტატისტიკის გადასვლას არჩევითი ბლოკში;
- დაწესებულების მხრიდან მეტი ყუარდღების გამოჩენას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე და პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავებას.
- დაწესებულების მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგების დეტალურად გაწერას, რომელიც იქნება გაზომვადი და მიღწევადი სტუდენტების მხრიდან;
- პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად დაწესებულების მხრიდან დამსაქმებლების ჩართვას;

• დაწესებულების მხრიდან საგანამანათლებლო პროგრამაზე ისეთი აფილირებული პროფესორების ჩართვის უზრუნველყოფა, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე თავად არიან ჩართული კვლევით პროექტებში ან ეწევიან კვლევას;
• მიღების წინაპირობად უნდა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის განსაზღვრას;
• კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის სწავლების გადმოწევას პირველ სემესტრში, ასევე სასწავლო კურსის „მენეჯერული ეკონომიკის" გადასვლას სავალდებულო ბლოკში და მის მიწოდებას პირველ სემესტრში, ხოლო ბიზნესის სტატისტიკის გადასვლას არჩევით ბლოკში.
• დაწესებულების მხრიდან სასწავლო კურსის სილაბუსებში ახალი და დარგის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურის გამოყენებას;
• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პროგრამის მონიტორინგის უზრუნველყოფას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში რეგულარულად ხდებოდა ცვლილებების შეტანა სემესტრიდან სემესტრამდე გამოკითხვების საფუძველზე და იკითხა, თუ რა საკითხში დაინახეს ექსპერტებმა უკუკავშირის ნაკლებობა. ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს დასკვნა ექსპერტებმა გამოიტანეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიურების შედეგად. ექსპერტმა დაამატა, რომ კარგი იქნებოდა, თუ შეფასების საკითხი იქნებოდა სავალდებულო და მიბმული იქნებოდა სტუდენტის მიერ ქულის მიღებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელექტრონული შეფასების სისტემები უკვე ინერგებოდა. მისი თქმით ამ მიმართულებით უნივერსიტეტში საგრძნობლად იყო განვითარებული მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით, მაგ. 6-7 წლის წინანდელთან შედარებით. მან აღნიშნა, რომ შეფასების სისტემის იძულებითად ქცევა არ იქნებოდა გონივრული და უმჯობესი იქნებოდა შეფასების კულტურის დამკვიდრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მაგალითების მოყვანა შეეძლო, როდესაც პირადად აცნობდნენ სტუდენტებს შეფასების შედეგებს, ატარებდნენ მათთან საუბარს, დეტალებს იხილავდნენ და ამასთან ერთად ითვალისწინებდნენ მათ აზრს. მისი თქმით პროგრამა შექმნილი იყო სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მმართველობითი აღრიცხვის საგანში ტექნიკური ხარვეზით მოხვდა ბაკალავრიატის სილაბუსი. რაც შეეხება სტატისტიკას, მისი თქმით ამ საგნის მიზანი მრავალფეროვანი იყო. მისი თქმით, კვლევის მეთოდები არ ეხებოდა სტატისტიკის მაკროეკონომიკურ პარამეტრებს და თვლიდა, რომ მენეჯერული აღრიცხვა უფრო ეკონომიკური საკითხი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრება, იყო რომ ეკონომიკური სტატისტიკა გადასულიყო არჩევით საგნებში. თუმცა, გარკვეული საგნების გადანაცვლებას ვერ მოახერხებდნენ, რადგან ამასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები გააჩნდათ. უნივერსიტეტი დაეთანხმებოდა ექსპერტებს მენეჯერული ეკონომიკის სავალდებულობის საკითხზე იმ შემთხვევაში, მოცემული პროგრამა რომ ეკონომიკისა ყოფილიყო.

რაც შეეხება შეფასების ელემენტს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ძველი სტანდარტების მიხედვით იყო შემუშავებული. მისი თქმით, შეფასებიდან არ ჩანდა რომელ შეფასებაზე ჰქონდათ საუბარი ექსპერტებს, გულისხმობენ ბლუმის ტაქსონომიის შემცველს თუ სხვას. მისი თქმით, შეფასება ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით იყო აღწერილი უკვე პროგრამაში, თუმცა სხვა სახის შეფასება ჯერ არ იყო, მაგრამ უკვე მუშაობდნენ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი შეეხო თანამედროვე მენეჯმენტისა და ადამიანურ რესურსების კურსებს და მისი თქმით აქ შემოთავაზებულია ქართველი ავტორების სახელმძღვანელოები, თუმცა შემუშავებისას უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდნენ უცხოენოვანი წიგნებითაც და ეს ორი ხშირ შემთხვევაში თანხვედრაში იყო, უცხოენოვანი სახელმძღვანელო კი ვერ ჩასვეს ძირითად წიგნად.

რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვის საკითხს, მისი თქმით ბაკალავრიატში ისწავლება საფუძვლები, მაგისტრატურაში კი ისწავლება მართვა სხვადასხვა ლიტერატურითა და სასწავლო შედეგებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო პლაგიატის საკითხსაც და აღნიშნა, რომ ამაზე უკვე მუშაობდნენ. მისი თქმით, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე მოხერხდებოდა გარე ნაშრომებისათვის გარე-ექსპერტების შერჩევა. ხოლო დანარჩენ მეტწილად შეფასებულ საკითხებს მისი თქმით უნივერსიტეტი ეთანხმებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელს არ ეთანხმებოდა მარკეტინგის ნაკლები მნიშვნელობის შესახებ. მისი აზრით, პროგრამაში ბალანსი დარღვეული იყო და ფინანსების მხარის გაძლიერება სჭირდებოდა პროგრამას. მისი თქმით, ფინანსების მაგისტრს არ ეყოფოდა ეს დოზა. ასევე მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ მხოლოდ რეგიონზე არ ექნებოდა უნივერსიტეტს ფოკუსი. მან იმედი გამოთქვა, რომ ფინანსებისა და მარკეტინგის მხარეს გააძლიერებდა დაწესებულება სამაგისტრო პროგრამაზე.

საბჭოს სხდომაზე 19:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ დაფიქსირებული პოზიციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ პირველი სტანდარტი შესაძლოა შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან დაწესებულებას აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულება შეეძლო მოკლე დროში.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და $3^1$ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო გამოსწორდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

20:05 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**თავმჯდომარე**
ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

**მდივანი**
სოფიკო ლობჟანიძე